ჟურნალ „ოსკარის" დამატება
№ 5
ფასი 40 თ.

# ფან-კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 თებერვალი, 2003 წ.



შეხვდი ქუჩის ბიჭებს პირისპირ „ფან-კლუბის" დახმარებით. წაიკითხე მე-16 გვერდზე



ნიკუშა ლომიძის აკვიატებული ფრაზა...



მალე დაოჯახ-დება თუ არა პაატა?



ვინ აცმევს თიკა ფაცაციას?

დეიდა ვასასის ცხელ-ცხელი ჭორები თამუნა გომართელზე, ცისანა სეფიაშვილზე და მერაბ სეფაშვილზე



სპორტის რა სახეობა იტაცებს ქეთა თოფურიას?



სად ისწავლა შაკირამ მუცლის ცეკვები?

# კითხვა-პასუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰ**ყავს თუ არა შეყვარებუ-ლი ლაშა კუკულაძეს?



ლაშა: – არა, ნამდვილად არ მყავს შეყვარებული, თუმცა ვიმედოვნებ, რომ სა-მომავლოდ ჭეშმარიტი სიყ-ვარული მეწვევა.

**ვ**ინ აცმევს თიკა ფაცაციას?

დათო ალბორიშვილი



პასუხი: – როგორც ვი-ცი, თიკა თავისი გემოვნე-ბით იცვამს.

**რ**ამდენი წლისაა თაკო გაჩეჩილაძე?

თეონა, 18 წლის



– თაკო 18 წლისაა.

**რ**ა უბანშია ეთო ცქვიტინიძის სა-ლონი „ბადენ ბადენი"?



– „ბადენ ბადენი" მდება-რეობს ვერაზე.

**ჰ**ყავს თუ არა და ან ძმა დათო ხუჯაძეს?

ნატო, 15 წლის



– დათოს ჰყავს და.

**ჩ**აიწერენ თუ არა დუეტს ჩვენი წამყვანი მომღერ-ლები – ლელა წურწუმია და მერაბ სეფაშვილი?!

ნინო, 18 წლის



ლელა: – მერაბთან დუე-ტი გეგმაშია.

**რ**ა ჰქვია ნეკას სინამ-დვილეში?

ირინა, 17 წლის



– ნეკას ნამდვილი სახე-ლია ნელი.

**ვ**ის ეკუთვნის სიმღერის ტექსტი „ჩემი ქალაქი"?



– „ჩემი ქალაქის" ტექ-სტი გია ჯორჯაძეს ეკუთვნის.

**ს**ად ცხოვრობენ არიკო მეფარიძის მშობლები?

მადონა, 13 წლის



– არიკოს მშობლები პერი-ოდულად წყნეთში ცხოვრო-ბენ, პერიოდულად კი არი-კოსთან საბურთალოზე.

**მ**ართლა „პეტრუშკებს" ეძახის ლილიკო თავის შვილებს?



– მართლა, ლილიკო თა-ვის ქალიშვილებს „პეტრუშ-კებს" ეძახის.

**ნ**იკუშა ლომიძის აკვია-ტებული ფრაზა...



– ნიკუშა ხშირად ხმარობს ფრაზებს – „რას დაეძებ", „კარატისტი" და „გაიხარე შენა".

**რ**ამდენი კილოა კახა კუხია-ნიძე და რა სიმაღლისაა იგი?

ნატო, 20 წლის

– როგორც კახამ აღნიშნა, იგი შარშანდელი მონაცემებით 67 კგ-ია, ხოლო სიმაღლით 177 სმ-ია.



გაზეთი "ფან-კლუბი" ჟურნალ "ოსკარის" დამატებაა.
რედაქცია ხელმძღვანე-ლობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარუ-ლი ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე.
რედაქტორის მოადგილე: თამუნა ბონგაძე.
ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე, თამთა მჭედლიშვილი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის" მოხსენიება აუცილებელია.

# კითხვა-პასუხი

**რ**ას დაარქმევს ნანიკო თავის შვილს?
დეა, 13 წლის



– როგორც ნანიკომ ინტერვიუს დროს აღნიშნა, იგი ჯერჯერობით არც ბავშვის სქესზე ფიქრობს და მით უმეტეს არც სახელზე.

**რ**ოდის გადაიღებს თაკო გაჩეჩილაძე კლიპს?
თამუნა, 15 წლის



– თაკო ამჟამად სიმღერების ჩაწერითაა დაკავებული. მალე ის აირჩევს იმ სიმღერას, რომელზეც კლიპს გადაიღებს.

**ლ**ელას საყვარელი უცხოელი მომღერალი.
„ქროლიკა", 13 წლის



ლელა: – მე ძალიან მიყვარს ჯორჯ მაიკლი.

**ა**პირებს თუ არა ბაჩო სიმღერის გაგრძელებას?



– ბაჩო ახალ სიმღერებს იწერს, ასე რომ იგი აპირებს სიმღერის გაგრძელებას.

**ს**პორტის რა სახეობა იტაცებს ქეთა თოფურიას?
ნათია, 11 წლის



ქეთა: – მე ძალიან მომწონს ფეხბურთი.

**ს**ად ცხოვრობს დათო ხუჯაძე?



– დათი ცხოვრობს ავლაბარში.

**რ**ოგორ მოვხვდე „ბახალას" გადაცემაში?
ია, 16 წლის



– „იმღერე რამეს" ჩაწერები იანვრის თვეში მიმდინარეობდა, შემდეგი ჩასაწერი მონაკვეთი ივლისის თვისთვის არის დაგეგმილი. რაც შეეხება იქ მოხვედრას, შენ შეგიძლია სტუდია „პრემიერ შოუს" მიმართო – ჯანაშიას ქ.№4.

**რ**ოდის დაიბადა და რამდენი წლისაა ავთო ცქვიტინიძე?
ია, 14 წლის



ავთო: – მე ოცდაცხრა წლის ვარ, დავიბადე 1973 წლის 24 ივლისს.

**რ**ოგორია "დუტას" ერთი დღე?
ანა, 15 წლის



"დუტა": – ყოველი დღე დატვირთული მაქვს. დილა იწყება შოუს „ვის უნდა 20 000-ის "ჩაწერით, შემდეგ გავრბივარ სპექტაკლის რეპეტიციებზე.

## ჭორულა-ჭორულა ამბები



ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპანია „მაკა ასათიანის" პრომოუტერი ვანიკო თარხნიშვილი საუბრისას უცხოურ სიტყვებს იყენებს. მათ შორის ყველაზე ხშირად მისგან გაიგონებთ სიტყვებს – „ამიგო", „უქულესი" (უმაგრესი), „ოუ-ქეი" (O.K.)... პრომოუტერი ისე გემრიელად და ისე მორგებულად ხმარობს ამ სიტყვებს, რომ უცებ მოგინდებათ მათი გადაღება. „ამიგოს" ვანიკო ყოველ ორ სიტყვაში ხმარობს, გიცნობს, არ გიცნობს, მეგობრობს თუ არა შენთან.



ფეხსაცმლის დიზაინერი თათა ვარდანაშვილი, რომელიც კვირაში დაახლოებით 160 წყვილ ფეხსაცმელს ქმნის, აცხადებს, რომ თუკი ძალიან ექსტრემალურ სიტუაციაში არ არის ჩავარდნილი, ისე ფეხსაცმელებით არ არის განებივრებული. ეს, ალბათ, გასაოცარი ფაქტია. ის, ვინც სხვისი ცხოვრების გასალამაზებლად ქმნის ორიგინალურ ფეხსაცმელს, თავად მათ გარეშეა.



თურმე, ვერიკო ტურაშვილი თავის კლასელ გოგონასთან ერთად მიდიოდა ყველგან, სადაც კი ჩხუბი გაჭაჭანდებოდა. როგორც მომღერალი ამბობს, „დაუმარცხებელი გოგოები" იყვნენ. ერთხელ „სტრელზე" მოსულები ერთმა კარატისტმა გოგონამ ისე სცემა დაქალები, რომ მერე ჩხუბის გაგონებაც კი აღარ უნდოდათ. „- მას შემდეგ არასოდეს მიჩხუბია", – აცხადებს ვერიკო.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



როგორც გავიგეთ, მომღერალი გიგა კვენეტაძე ახალი და საინტერესო პროექტის განხორციელებას აპირებს. ახალი პროექტი მდგომარეობს იმაში, რომ იგი დუეტის ჩაწერას აპირებს "ძებნილი და ჯერონიმოსთან". როგორც გიგამ აღნიშნა, დუეტი მეტად ორიგინალური იქნება. სიმღერაში რეპიც იქნება და სოულიც.



თურმე, მომღერალი ქეთა თოფურია არ ინდობს მობილურ ტელეფონებს. ადვილი შესაძლოა მისი ტელეფონი ან იატაკზე ეგდოს, ან კედელს მიენარცხოს. დიდი დიდი ტელეფონმა ორ კვირას გაძლოს მთელმა და არ დაზიანდეს. ხშირ შემთხვევაში ხან ლილაკი უვარდება აპარატს და ხან ანტენა „გადის მარილზე". მომღერალი ამჟამად მოსკოვშია, სადაც, ალბათ, ერთ „საკაიფო" ტელეფონს შეიძენს და ჩამოიტანს.



ჯგუფ „სეიშენის" არც ერთი წევრი შეყვარებული არ ყოფილა. ბიჭები ამჟამად სერიოზული ფრომოუშენით არიან დაკავებულნი. ისინი სტუდიაში სხედან და აქტიურად მუშაობენ. – "ჯერჯერობით არც ერთს არ გვყავს შეყვარებული, ჩვენ ჩვენი მსმენელის გულის გასახარად ახალ-ახალ სიმღერებზე ვმუშაობთ", - აცხადებენ ბიჭები.

## ჩემს უსაყვარლეს მომღერალს და არაჩვეულებრივ ადამიანს, ლელა წურწუმიას!





გამარჯობა ოსკარელებო! თქვენი ჟურნალი ძალიან მიყვარს. მისი წყალობით ყოველთვის კარგ ინფორმაციას ვგებულობ შოუ-ბიზნესის შესახებ. რაც თქვენი არაჩვეულებრივი კოლექტივის და მათი პროფესიონალიზმის დამსახურებაა. გაზეთ „ფანკლუბის" დაარსება მართლაც დიდი საჩუქარია თქვენი მკითხველისათვის. თქვენს გაზეთში ეს ჩემი პირველი წერილია. იმედი მაქვს, უყურადღებოდ არ დატოვებთ. წინასწარ მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველას. მინდა ამ წერილით ვაგრძნობინო ლელას თუ როგრ მიყვარს. ჩემო სიცოცხლე, ჩემო მშვენიერო ლელა! მე შენ ძალიან მიყვარხარ, შენ ჩემი ცხოვრების ნაწილი ხარ. დღე შენით ღამდება და ღამე შენით თენდება. არ ვიცი ასე ძალიან რატომ შემიყვარდი. მაგრამ ისეთი ნაზი და თბილი ადამიანი ხარ, არ შეიძლება ვინმე გულგრილი დარჩეს შენი სიმღერების მიმართ. თითოეულ ჰიტყვას ისეთი გრძნობით წარმოსთქვამ, რომ ტანში ჟრუანტელი მივლის, თვალებს კი ცხელი ცრემლი მისველებს. „ლოდინით დაღლილი" და ცრემლისგან დაცლილი შევყურებ შენს პლაკატებს და გული მტკივა, რომ შენი ნახვა მხოლოდ ოცნებად რჩება. შვებას მხოლოდ შენი სიმღერები მგვრის. შენი ნაზი ხმა ყურში ჩამესმის და რაც არ უნდა მოწყენილი ლა დათრგუნული ვიყო ყოველთვის დადებითი ენერგიით ვივსები და მთელი დღე კარგ ხასიათზე ვარ. ბედნიერი ვარ, რომ ისეთი მომღერალი გვყავს როგორიც შენ ხარ. კალამს არ ძალუძს ამ თვისებების ვრცლად გადმოცემა, რადგან ფურცელი ვერ დაიტევს. მხოლოდ როდესმე თუ მეღირსა შენი ნახვა ყველაფერს გეტყვი რისი თქმაც ამ წერილით ვერ შევძელი. ლელა ვიცი რასაც ახლა ვიტყვი შეიძლება არ დამიჯერო, მაგრამ პატარა მარიამი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მისმა დაბადებამ დიდი ბედნიერება მომიტანა და მთელი ჩემი არსებით მიყვარს. ის ხომ იმ ადამიანის შვილია, ვის გაცნობასაც დღე და ღამე ვნატრობ. შენ ჩემი იდეალი ხარ და ყოველთვის იქნები. მინდა მარიკო გულში ჩავიკრა და მოვეფერო მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებად რჩება. ძალიან მიყვარს „მამულიჩა" და ბედნიერი ვარ, რომ თქვენ ასეთი თბილი ოჯახი გაქვთ. ჩემი სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ არასოდეს შეგაწუხებ ამით, შენზე ცუდს არავის ვათქმევინებ და არავის მივცემ უფლებას გული გატკინოს. მინდა წარმატებები გისურვო ყველაფერში. ღმერთი იყოს შენი მფარველი! გკოცნი ბევრს და იმედი მაქვს როდესმე მაინც შეგხვდები.

„მინდა ბედნიერი იყო ჩემო სიცოცხლე

არავინ გული არ გატკინოს დიდხანს იცოცხლე!"

დიდი სიყვარულით

**ნინო, 18 წლის**

*(სტილი დაცულია)*

## „ფან კლუბის" რედაქციას!

**არ ვიცი თავიდან როგორ დავიწყო, თქვენ ძალიან ბევრი გწერთ წერილებს და გიხსნით სიყვარულს, მათ შორის მეც. შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში ალბათ ასეთი გაზეთი არ არსებობს. რა თქმა უნდა როგორც ყველას მეც მაქვს თქვენთან სათხოვარი. ძალიან მინდა პაატა ხაჩიძეს მივმართო თქვენი საშუალებით. მე თელავში ვცხოვრობ და იმდენი შესაძლებლობები არ მაქვს პაატას დავუკავშირდე, ამიტომ ძალიან გთხოვთ დახმარება გამიწიოთ და ქვემოთ დაწერილი წერილი გამომიქვეყნოთ. წინასწარ დიდი მადლობა.**

## პაატა ხაჩიძეს!



პაატა ჩემო კარგო, მინდა პირველ რიგში უდიდესი წარმატებები გისურვო როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე შენს საქმიანობაში. ახლა კი მინდა ჩემი გრძნობების შესახებ გითხრა.

პაატა იცი შენნაირი თვალები და შენნაირი ლამაზი გამოხედვა არავის არ აქვს. შენს გამოხედვაში უდიდეს სითბოს ვკითხულობ. მართალია ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ იმედი მაქვს ოდესმე მაინც შევძლებ შენთან დაკავშირებას.

პაატა მინდა იცოდე რომ მე ყოველთვის შენი თაყვანისმცემელი ვიქნები და ყოველთვის ძალიან მეყვარები. პაატა მე შენი ყველაფერი მომწონს, შენი ვარცხნილობა, შენი ჩაცმის სტილი, შენი ცეკვა. შენ ერთ-ერთი საუკეთესო მამაკაცი ხარ საქართველოში. იცი ჩემს ნაცნობებში რამდენი გაღმერთებს? ზოგიერთი შენს პლაკატებსაც კი კოცნის. მე რა თქმა უნდა ასეთი ემოციური არ ვარ, უბრალოდ ძალიან მიყვარხარ და ეს არის, ასევე მიყვარს შენი მეგობარი ბიჭები. ძალიან მწყდება გული ასეთი ჭორები რომ დადის. იმედი მაქვს ეს მართლა ჭორებია. თქვენ უამრავი თაყვანისმცემელი გყავთ და არანაირი სურვილი არ მაქვს ცალ-ცალკე გიხილოთ. ასე რომ პაატა კიდევ ერთხელ გეტყვი „მე შენ მიყვარხარ".

გკოცნის

შენი თაყვანისმცემელი

თიკო, 17 წლის

# მუსიკალური ვიქტორინა

მათ, ვისაც ინტუიცია არ ღალატობს, ან შეუძლია ნოტების საშუალებით სიმღერის აწყობა, გაზეთი "ფან-კლუბი" აძლევს საშუალებას გაერთოს და ამასთანავე პრიზებიც მოიგოს. მოცემული ხუთი სიმღერიდან თქვენ უნდა გამოიცნოთ: პლაკატების ნაკრების მოსაგებად — სამი მათგანი, კალმისტრის მოსაგებად — ოთხი, ხოლო აუდიოკასეტის მოსაგებად — ხუთი სიმღერა. თქვენი პასუხები უნდა ჩაწეროთ ქვემოთ მოცემულ ბლანკში და გამოგზავნოთ მისამართზე: კოსტავას 14.

1. სიმღერა მწერზე, რომელსაც გაფრენისა და მოფრენის ალტერნატივა არ გააჩნია.



2. სიმღერა ქარის მოტანილ წერილზე და ქალზე, რომელიც ღამეს უმღერის.



3. სიმღერა ფერად ზმანებაზე, რომელიც მალე დადგება.



4. სიმღერა ფრინველზე, რომელიც პატარაა და ჩიორა.



5. სიმღერა გაზაფხულივით მოპარულ სიყვარულზე.



მუსიკალური ვიქტორინა №5.

1 ______________________

2 ______________________

3 ______________________

4 ______________________

5 ______________________

გვარი, სახელი, ტელეფონის ნომერი

## ლელა წურწუმიას!

## ჩემს მიუწვდომელ „ანგელოზს“

გამარჯობათ „ფან-კლუბე-ლებო", ძალიან მიყვარხართ, მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ძალიან მომწონს თქვენი გაზეთი. გთხოვთ უყურადღებოდ ნუ დამტოვებთ. წერილს კი იმ ადამიანს ვწერ, ვინც სიგიჟემდე მიყვარს და ვის გარეშეც ერთი წამით სიცოცხლეც კი წარმოუდგენლად მიმაჩნია.

ლელა! ჩემო სიცოცხლევ, მიყვარხარ, მიყვარხარ ისე, რომ ამის სიტყვებით გადმოცემაც კი მიჭირს, ლელა, არ ვიცი ასე როგორ დაიპყარი ჩემი გული, ალბათ შენი სილამაზით, უსაზღვროდ ლამაზი თვალებით და სიმღერებით, რომელთაც მთელი გულით ასრულებ. ლელა, შენი სიმღერის, ხმის გაგონება ისე მჭირდება ყოველ დღე, როგორც წყალი. ვცოცხლობ



შენი სურათებით, ხანდახან იმითაც კონცერტებზე შორიდან რომ დაგინახავ ხოლმე. ვოცნებობ, დღე და ღამ ვოცნებობ, რომ ოდესმე ახლოს გაგიცნობ და აი მაშინ კი ყველაფერს გეტყვი. მე ამის მჯერა და ამით ვსულდგმულობ. ლელა, ჩემო სიყვარულო, მოგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ყველაფერ კარგს, ბედნიერებას შენ ქმარშვილთან და ოჯახთან ერთად, ასევე წარმატებებს შენს შემოქმედებაში, შენ ხომ ამით გვიხალისებ ცხოვრებას შენზე შეყვარებულ ადამიანებს. გკოცნი ბევრს და ბევრს, ძალიან ბევრს.

შენზე უზომოდ შეყვარებული
ფანი თამუნა, 16 წლის


## ყურადღება!

ნებისმიერი კითხვა, რომელიც გსურთ დაუსვათ თქვენთვის საყვარელ პიროვნებას და შესაბამისად მიიღოთ პასუხი, უნდა ჩააწერინოთ გაზეთ "ფან-კლუბის" ოპერატორს ორშაბათს ან პარასკევს 14-დან 15 სთ-მდე. წერილები კი გამოგზავნეთ მისამართზე: კოსტავას 14, მე-2 სართ., გაზეთი "ფან-კლუბი"


## ჭორულა-ჭორულა ამბები



„ტოროლას" წამყვანი „წუნა" სინამდვილეში რომ თეაა, ალარავის ახსოვს. მას ეს ზედმეტსახელი თეატრალურ ინსტიტუტში შეარქვეს. ერთხელ თურმე თავისთვის ღიღინებდა „წუნა და წრუწუნას" სიმღერას. იქვე მდგარა მისი მეგობარი, რომელმაც უთხრა, რომ ძალიან ჰგავდა წუნას, დაარქვა ეს სახელი და მას შემდეგ ყველას „დაავიწყდა", რომ მისი სახელი თეაა.



ჟურნალისტი და „მოამბის" ექს-წამყვანი ნინო დარასელი ცნობილია მისი „მარჯვე" დიასახლისობით. ხან რას აფუჭებს და ხან რას წვავს. ერთხელ ჩაის დასხმისას, მდუღარე წყალი ხელზე გადაუვლია. რომ უკითხავთ, რატომ გაქვს ხელი დამწვარიოო და პასუხი რომ მიუღიათ, ნინოსთვის უთქვამთ, რატომ აკეთებ იმას, რაც შენი საქმე არააო. „– მე და მამას არც ისე კარგი ურთიერთობა გვქონდა სამზარეულოსთან", – ამბობს ნინო.



კომპოზიტორმა რუსა მორჩილაძემ თავის მეუღლესთან – აჩიკო ახვლედიანთან ორჯერ იქორწინა. პირველად 24 წლის იყო რომ გაბედნიერდა, მერე ერთი წელი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. აჩიკო მოსკოვში წასულა. მერე იყო სატელეფონო საუბარი და რუსა მეუღლეს აკითხავს მოსკოვში. ორი წელიწადი იქ დარჩნენ. 8 თვის ფეხმძიმე იყო რუსა თბილისს რომ დაუბრუნდნენ. მას შემდეგ გაჩნდა პატარა გეგიც.

# “არ არს ღამე, რომ შენით არ თენდებოდეს“

## ლელა წურწუმიას დიდი სიყვარულით

პირველ რიგში მინდა მოვიკითხო ჩემი უსაყვარლესი ჟურნალი „ფან-კლუბი“ და მისი შემოქმედებითი კოლექტივი. მინდა ყველას გისურვოთ ბედნიერება, ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და ყოველივე კარგი, დიდი პოპულარობა ჟურნალ „ფან-კლუბს“ და გაზეთ „ოსკარს“. ყველა მიყვარხართ და მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით წერილი მივწერო ჩემს უსაყვარლეს და ულამაზეს მომღერალს ლელა წურწუმიას.



ლელა, მე შენ ძალიან მიყვარხარ და მეყვარები სიცოცხლის ბოლომდე. შენ ყველაზე ლამაზი და მოსიყვარულე ადამიანი ხარ. ყველას უყვარხარ, ყველას სწამს შენი ლამაზი პიროვნების და მრავალი საუკეთესო სიმღერის.

შენი თვალები „ქრებიან და ჩნდებიან“, როგორც მოციმციმე ვარსკვლავები. „რად მინდოდა“ ეგეთი სიცოცხლე თუ ვერ მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს. „შემოდგომის სურნელივით“ იფანტები ჰაერში და შენი ლამაზი სიმღერით ატკბობ ჩვენს ერს. „ღამე ქუჩას მივუყვები“ და მგონია აი, ან ახლა შემხვდები ან ახლა, რადგან მინდა გითხრა როგორ მიყვარხარ და „ჩუმად ნათქვამი“ სიტყვები გაგიზიარო. „იდუმალი ღამესავით“ გავა წლები, გავა დრო და მოვა ის ნანატრი დღე, როდესაც იტყვიან:

„ლელა წურწუმია XXI ს. ყველაზელამაზი და ყველაზე პოპულარული ადამიანია“. ლელა, მინდა გისურვო ცხოვრებაში, ასევე კარიერაში, ბედნიერება და სიხარული, მრავალი კარგი სიმღერა და უსაზღვრო სიყვარული. ძალიან მიყვარხარ.

„შენი სიმღერა გულს სევდასა  
ჰგვრის,  
მაგრამ, შენ ლელა, ძლიერ  
კარგი ხარ,  
ის მიყვარხარ, როგორც ვრავინ  
არასოდეს მე არ მყვარებია.  
ჩუმად მეჭირის და ჩუმად  
მღელვარებს,  
„ჩუმად ნათქვამი“  
შენი სიმღერა.  
ფიქრი წაიღებს,  
ამ დღეს უშენოდ  
შენი თვალები,  
ვარსკვლავთა მღერა.  
ნეტავ მოვიდეს ნანატრი  
წამი.  
როცა მე გეტყვი, – როგორ  
ხარ ლელა?  
შენი დიქცია კვლავ სიმღერა  
იმღერე და წლები გვაჩუქე  
ყველას“.

ხუციშვილი გიორგი, 17 წლის  
*(სტილი დაცულია)*

# „თამთა გოგუაძე, რა ლამაზი ხარ“



მე სალომე ვარ. ძალიან მიყვარს თქვენი ჟურნალი, მართალია კითხვა არ ვიცი, მაგრამ ყდა ძალიან მომწონს, თამთა ძალიან მიყვარხარ მე ოდიკო, როგორც მიყვარს ისე მიყვარხარ. შენი ხმა ტელევიზორში რომ მესმის, სულ ვყვირი ჩუმად-მეთქი, ძალიან მიყვარხარ, სულ ვცეკვავ შენს სიმღერებზე, მინდა, რომ გავიზრდები შენნაირი მომღერალი გამოვიდე.

ეს ჩემი პირველი წერილია

„სიყვარული არის საოცარი ტანჯვა აგრამ ყველა ამ ტანჯვას ეტანება“.

*თამთაზე შეყვარებუ*



სალომე კუკავა, 3 წლის

# “ქუჩის ბიჭებს”

გამარჯობათ ძვირფასო „ფან-კლუბელებო“. მე თქვენი უერთგულესი მკითხველი ვარ. ძალიან მიყვარხართ. მინდა თქვენი ჟურნალის საშუალებით მივმართო ყველასათვის საყვარელ ჯგუფს „ქუჩის ბიჭებს“.

ბიჭებო ძალიან საყვარლები ხართ. უზომოდ მიყვარხართ და უდიდეს პატივს გცემთ. მინდა, რომ მუდამ ეკაშკაშოს თქვენს ვარსკვლავს. ყოველი დღე ბედნიერი ყოფილიყოს თქვენს ცხოვრებაში, გისურვებთ ულევ სიხარულს და უდიდეს სიყვარულს. მე მუდამ თქვენს გვერდით ვიქნები და თქვენ გიგულშემატკივრებთ. აბა თქვენ იცით ჯგუფის დაშლა არ გაბედოთ. „ფან-კლუბს“ დიდი მადლბა რომ არსებობს. კარგად იყავით. (იმედია წაიკითხავთ)

„მხოლოდ ფიქრებით და ოცნებებით გეტყვით მიყვარხართ,

მხოლოდ ფიქრებით და ოცნებებით ვიქნები თქვენი,  
მხოლოდ ფიქრებში და ოცნებებში მოგეფერებით,  
მხოლოდ ფიქრებით და ოცნებებით უნდა გავლიო  
მე უბედურმა სავალი დღენი“.

„ქუჩის ბიჭებს“ გეძახიან  
იმიტომ რომ ბევრს შურს თქვენი  
ყველა გოგოს გულებს იპყრობთ  
თქვენი ნაზი გამოხედვით.  
თქვენი ნაზი კოხტა გულით  
და თქვენი მიმზიდველობით  
ზურიკ, გურიკ, პატრიკ, პიკას,  
მიყვარხართ და მეყვარებით.  
ესპანეთში გაიმარჯვეთ  
და გალაღდით ბიჭნო მაგრად,  
ყველა გოგოს გაახარებთ  
მაგ თქვენი ხმით ბიჭნო ნაღდათ  
კაროჩეო „გეტყვით ერთს“-ო



გაიძახით დღე და ღამე  
ალარ დაგრჩათ მოსავლელი  
რესტორანი, ბარი, კაფე  
გაზაფხულის მზის სხივები  
ეფინება არე-მარეს  
„ქუჩის ბიჭები“-ს ფანებო  
იხარეთ და გავიმარჯვებთ“.

ია ფ. 15 წლის

# სტეფანე მღებრიშვილი – „ჩემი ცხოვრების თანამგზავრი“

გამარჯობათ ძვირფასო „ფან-კლუბელებო“. ძალიან მიყვარს თქვენი რედაქცია და გაზეთი. ჩემი წერილი ეძღვნება სტეფანე მღებრიშვილს. არ ვიცი როგორ დავიწყო შენთან საუბარი. საერთოდ, იმ ადამიანთან, რომელიც სიცოცხლეზე ძალიან გიყვარს, საუბარი ძნელია! მიყვარხარ და “მევასები”, შენი ხმა რომ მესმის ვგიჟდები. გარშემომყოფთ სიჩუმეს ვთხოვ. მე შენი ფანი ვარ. „სტიოპკა“ ძალიან მიყვარხარ! ჩემმა გულმა ველარ შეძლო სიყვარულის დამალვა და თითქმის



ყველაფერი ამ ფურცელზე ამოაფრქვია. ასე მგონია ჩემსავით არავის უყვარხარ ჩემო „ძვირფასო“. ცხოვრებაში პირველი ადამიანი ხარ, ვინც ასე ძალიან მიყვარს. ძალიან მიყვარს შენი გამოხედვა და ჩაფიქრებული თვალები! „სტიოპკა“ რა ძნელია, როცა უიმედო სიყვარულით ხარ გატაცებული! მხოლოდ ერთს გთხოვ, ეს ყველაფერი შენს თავზე აიღო. მართლა ძალიან მიყვარხარ, არც კი ვიცი მეტი რა დავწერო, იქნებ თავიც კი მოგაბეზრე, მაგრამ ბოდიში! მე მაინც შენს ლოდინში ვარ.

შენზე უაზროდ  
შეყვარებული ფანი  
ანა ხარშილაძე, 14 წლის

# კითხვა-პასუხი

**რ**ამდენი წლისაა „სტიოპა“?



– სტეფანე 23 წლისაა.

**ჩ**აატარებს თუ არა „რონდო“ სოლო კონცერტს?



– როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა ქ-ნმა ლიზიმ აღნიშნა, ისინი ფიქრობენ სოლო კონცერტზე, მაგრამ ჯერჯერობით ჯგუფს სხვა გეგმები აქვს.

**მ**ალე დაოჯახდება თუ არა პაატა?



პაატა: – დაახლოებით სამი წელი არ ვაპირებ დაოჯახებას, მერე, მოვიფიქრებ.

**გ**ადაიღებს თუ არა, კახა კუხიანიძე კლიპს რომელიმე ახალ სიმღერაზე და როდის?



– მომღერალს გადაწყვეტილი აქვს ახალი კლიპის გადაღება თებერვლის მიწურულს.

**ვ**ინ არის დათო ხუჯაძის დიზაინერი?



– დათოს დიზაინერი არ ჰყავს, იგი თავისით იცვამს.

**რ**ოდის ექნება თამთა რგოგუაძეს ახალი კლიპის პრეზენტაცია?



– თამთას ახალი კლიპის პრეზენტაცია მისსავე დაბადების დღეზე – 25 თებერვალს ექნება. ეს იქნება ჯგუფ „სინისთან“ დუეტზე გადაღებული კლიპი.

**რ**ამდენი წლისაა დათო ხუჯაძის და?



– დათოს და 30 წლისაა.

**ქ**ეთა თოფურიას ჰობი?

მაგდა, 13 წლის



– ქეთას ძალიან უყვარს ფილმების ყურება და თავის პიტბულთან თამაში.

**გ**ადაიღებს თუ არა ლელა კლიპს სიმღერაზე „ქრებიან და ჩნდებიან“?



– ეს სიმღერა უკლიპოდაც გაჰიტდა. საერთოდ, კლიპს იღებენ სიმღერის გასაჰიტებლად, სანამ იგი დატრიალდება. „ქრებიან და ჩნდებიან“ საკონცერტო ვარიანტითაც პოპულარული გახდა.

## ჭორულ-ჭორული ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი კლიპმეიქერი ბასა ფოცხიშვილი ამჟამად ბერლინში იმყოფება. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ რეჟისორი კინოფესტივალ „ბერლინალე“-ს ესწრება. სულ მალე იგი თბილისს დაუბრუნდება და შეუდგება მარიკა თხელიძისა და სოსო თოლორაიას დუეტზე კლიპის გადაღებას. სიმღერა საცეკვაო და თინეიჯერულია.



თურმე, დათო გომართელი ბავშვობაში გატაცებული იყო ძველებური ფულების შეგროვებით. მომღერალს სხვადასხვა ქვეყნის ძველი ბანკნოტები და მონეტები ჰქონდა შეგროვებული. კოლექცია მას შემდეგ არც გამდიდრებულა. საერთოდ, დათოს ძალიან ჰყვარებია ფულის ხარჯვა. ერთხელ ერთ-ერთი კოლეგისთვის (რომელსაც ჰონორარი არ გადაუხადეს) თავისი ჰონორარი შუაზე გაუყვია. „– თავიდან არ მართმევდა, მაგრამ ნამუსზე „ავაგდე“, როგორ არ გრცხვენია-მეთქი და დავითანხმე“, – აცხადებს მომღერალი.



ბაკურ ბაკურაძე კონცერტის დადგმისას (რეპეტიციისას) ძალიან მკაცრი და უტაქტო ყოფილა. „საშინელი“ ენა მაქვსო, – ამბობს იგი. შეუძლია გაბრაზებულმა იყვიროს – „კრეტინო, ვირო, ძროხა!“ მერე იხდის თურმე ბოდიშს. მისი ნებართვის გარეშე, რეპეტიციის დროს, გარეთ ფეხს ვერავინ გადგამს.



– მოგესალმებით ჩემო ცნობისმოყვარე ბაჭაჭუნებო. ქე ხართ ახლა, ალბათ, ჩემი ჭორების მოლოდინში და ნაბავთ დიდრონ თვალებს. მეიცადეთ პაწა ხანს, მეიცადეთ და ნახეთ რა ამბებს ჩაგიყაჭავთ თქვენი ვასასი. უიმე, რაცხა გულმა შემომიტია და მიბრაგუნებს გამალებით. მარა მაგას რომ ყური დოუგდო და გოუჩერდე, მთლად დამღუპავს და ამომაგდებს. მაგიზა მცალია ახლა მე?! ჯერ სათქმელი კი არ გამომლევია.

თურმე, ჩვენმა ცისანამ ორსულობის დროს 12 კილო მეიმატა. რას არ მეიმიზეზებს ამ დროს ქალი. მომღერალი დილაობით "მასტიკას" ასხამს ქსოვილზე და ისთე გამალებით სუნთქავს მას, რომ გეგონებათ ჰაერი არ ყოფნისო. რაფერი ტოკსომანი ყოფილა ეს გოგო ხო აზრზე ხართ! მერე ადგება და ორ შეკვრა პირისსაქნევ რეზინას ღეჭავს და ღეჭავს თურმე. უიმე, მართლა, ცისანას, ჩემო გვრიტებო, ჰყვარებია სანთლების შუქზე ვახშმობა, მის ქმარს კი ამ ჩვენი უშუქობის გამო ისე შესძულებია სანთელი, რომ საყვარელ მეუღლეს ზოგჯერ არ ანთებინებს მას. სამაგიეროდ, ჩუქნის დეკორატიულ სანთლებს და საღამოებს უხალისებს „ცისას".

* * *

– ჯგუფ „სთეისის" ახალი კლიპი ქე გექნებათ ნანახი. რაფრა იკლაკნებიენ ან ეს გოგო ,ბი, ან თვითონ ბიჭები. არა, ისე უცხო სახეები კი აქვთ კლიპში, მარა საქმე იცით რაში ყოფილა? რეჟისორს მანამდე ისთე უქია თავისი თავი და თავისი ნახელავი, რომ ბიჭებს ეგონათ, აჰა და, ეს კაცი რალაც ძალიან მაგარს „გაგვიკეთებსო". საბოლოო რეზულტატი რომ ნახეს „სთეისელებმა", მთლადაც

# ნენა, აწი რაღა მომკლავს მე?!



ვერ მეიხიბლენ ნამუშევრით და ცოტა არ იყოს ცხვირიც ჩამოუშვეს. ჩვენ უკეთესი გვინდოდა, მისი ქებისთვის ყური არ უნდა დაგვეგდოო. აპა, ასეა, ყველას კი არ უნდა ენდო და ყველას კი არ უნდა მიაკითხო „საქმის" გასაკეთებლად. დამიჯერეთ, ნენა, დამიჯერეთ, ჩემი ხნის ხარის რქებიც კი ხნავენ.

* * *

– მერაბიკოს შემოვევლე, იმის ხმას და იმის ჟღურტულს.



ფანები თურმე არც მას ტოვებენ უყურადღებოდ. ერთი იმფერი დოუძინებელი ფანი ჰყოლია ჩვენს მომღერალს, რომ ნუ მეიკითხავთ. ხან რა სიურპრიზს უწყობს თავის კუმირს და ხან რას. ერთხელ, ამ ქაჯანამ მხატვარს უზარმაზარი მერაბის პორტრეტი დაახატვინა



თურმე და მომღერალს კარებზე გაუკრა. მერე ლამაზი მიკროფონი შოუფუთია და დოუდია ზღურბლზე. რამდენჯერაც მერაბის ფანჯარასთან გოუთენებია ღამე, იმდენჯერ მანახა ნეტა ჩვენი ქვეყანა დამშვენებულ-ამშვენებული. უიმე, გადამრევს ის ბოვში, გადამრევს.

* * *

– ჟურნალისტი თამუნა გომართელი ქე გეცოდინებათ. ისთე, დიდი მოძრავი და აქტი-



ური გოგო კია, ვერაფერს იტყვი აბა, ნენა, მაგ პროფესიის ქალი ქე უნდა იყოს ამისთანა „ჩალიჩ-მეისტერი"! ჰოდა, ამ ჩვენს თამარს „აიეტის" ოფისში მოსვლია წერილი, მარა რა წერილი. რაცხა მოუჩმახია იმ საწყალ ტიპს და თანაც რამდენი ფურცელი ვინ იცის! წალმა-უკულმა ეწერა ფურცლებზე იმფერი გულშიჩამწვდომი სიტყვები, იმფერი ფრაზები, რომ გული თვით ჩვენს პირველ ლედისაც კი აუჩუყდებოდა. ყველაზე მაგარი ის არის, რომ ჟურნალისტს სიყვარულს უხსნიდა პატიმარი პირდაპირ საკნიდან, ბორკილებდადებული და დადარდიანებული. ამისთანა სიტყვები ჩემთვის რომ ვინმეს მოეძღვნა, უიმე, რას ამბობთ, გადევირეოდი და კუნტრუშს დევიწყებდი. ოო, რაფერ დასცინა თამუნამ იმ ვიღაც უსაქმურს, რომ იცოდეთ, სულ მიწასთან გაასწორა. ნუ იტყვით და, ეს წერილი „აიეტის" მთელ დაცვას უნახავს და წოუკითხავს, ისინი ქალბატონ თამუნას იდუმალად ულიმიან თურმე. ვაი, ვაი, რავა წახდა ქვეყანა და რავა ვერ ეტევა პატიმარი ციხეში!

* * *

– რაფერ მომწონდა „მეალომანია" რომ იცოდეთ, ყოველ შაბათს ვიჯექი და ველოდი როდის მოფანცქვალდებოდა ვირტუოზული თუ ვირტუალური „მეა" ეკრანთან. ჰოდა, „მეაზე" თურმე „ფურცლის კაცი" – აჩი ფურცელაძე გაიძახის – „მეა" ჩემი საცოლეაო. ამას კი არ მალავს დიჯეი, მიდიი... პირდაპირ ყვირის, ხმამაღლა და გამოთქმით. „მეა" იგივე თიკო ღიმილით ხვდება ამ ფრაზებს. ერთ-ერთ ტელეკომპანიაში წყვილი ერთად გამოცხადდა. ერთი იქ დამსწრეთაგანი დაინტერესდა თიკოს ასაკით. ჰოდა, „საცოლის" ასაკი არც სცოდნია თურმე აჩის, აპა, გეკითხებით, ეს რა ოინბაზობაა, რო-



ცა არ იცის საქმრომ საცოლის ასაკი. მოკლედ, ისთე შეიცვალა ეს ხალხი, რას ბჟუტურობენ ვერ გეიგებ. აბა, შეიძლება გასათხოვარ ქალს ასე გოუტეხო სახელი? არაფრით არ შეიძლება. დამაცადოს მაგ აჩიმ, გამოვუქნი იმ წარბებს მე, თუ არა ნახეთ აგერ!

# კითხვა-პასუხი

რამდენი წლის არის ჯასტინ ტიმბერლეიქი და რა ჰქვია მის ამჟამინდელ შეყვარებულს?



– 31 იანვარს ჯასტინი 22 წლის გახდა. შეყვარებული კი ამჟამად არ ჰყავს.

მართალია, რომ ვიქტორია ადამსი დევიდ ბექჰემს ეყრება?



– ასეთი ინფორმაცია მართლაც გავრცელდა, თუმცა, წყვილი ამის შესახებ კომენტარს არ აკეთებს.

რამდენი წლის არის სანდრა ბალოკი?



– სანდრა დაიბადა 1966 წლის 26 ივნისს.

მაინტერესებს როგორი აზრისაა JLO შაკირაზე?



ეროვნული ბიბლიოთეკა

– „შაკირა დიდებული შემსრულებელი და მოცეკვავეა“ – ამბობს JLO.

რა ჰქვია JLO-ს პირველ ქმარს?



პასუხი: ოჯანი ნოა.

რა ასაკის არიან „Тату“-ს წევრები?



– ელენა უკვე 18 წლისაა, იულია კი 18-ის თებერვლის ბოლოს გახდება.

ჰყავს თუ არა შეყვარებული Pinki?



– არა, Pink-ს ამჟამად შეყვარებული არ ჰყავს.

როგორი გოგონები მოსწონს რიკი მარტინს?



რიკი: – „გარეგნობას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, ჩემთვის მთავარია ადამიანის სულიერი მხარე“.

რომელია Kylie Minogue-ის საყვარელი სუნამო?



– Rochas-ის „Lumiere“.

ჰყავს თუ არა შეყვარებული ქრისტინა აგილერას?



– ბოლო კვირებში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ქრისტინა ახლა მომღერალ Sisqo-ს ხვდება.

სად ისწავლა შაკირამ მუცლის ცეკვები?



შაკირა: – „ეს ცეკვები არსად მისწავლია, ეს მოძრაობები უბრალოდ სისხლში მაქვს“.

მაინტერესებს ინახავს თუ არა ბრიტნი ჯასტინის მიერ მირთმეულ საჩუქრებს?



– ზოგიერთს შეიძლება კიდევაც ინახავს, მაგრამ Audi TT-ს მარკის ავტომანქანა, რომელიც ჯასტინმა მას გასულ წელს აჩუქა ბრიტნიმ უკვე გაყიდა.

ვინ არის ჯერი ჰოლივერის საყვარელი მომღერალი?



– მისი მეგობარი ჯორჯ მაიკლი.

# ვარსკვლავები და ფანები

## აჩი ფურცელაძე:



– ხშირად მომდის სასიყვარულო ფრაზებით გავსებული წერილები. ადრე უფრო ხშირად მირეკავდნენ და მაწრიალებდნენ. ახლა არ მაწუხებენ, არ მყავს ძალიან თავგადაკლული ფანები. საერთოდ ვერ ვიტან სიტყვა „ფანს". რომელი მაიკლ ჯექსონი მე ვარ ფანი რომ მყავდეს. შემიძლია ტკბილად მოვიშორო აბეზარი თაყვანისმცემელი, თუმცა როგორც წესი ვისაც უყვარხარ ის არ უნდა გაწუხებდეს. ზოგიერთი მხოლოდ „არევის" მიზნით გირეკავს. იმას სულ არ აინტერესებს შენი შემოქმედება. იყო ერთი გოგონა, რომელმაც ტვინი წაიღო გაუთავებელი ზარებით. მეც ავდექი და ცუდი ტონით ავუხსენი, რომ მეტი აღარ დაერეკა. თქვენ წარმოიდგინეთ ამ მეთოდმა გაჭრა და მას შემდეგ იმ გოგონას აღარ დაურეკია. ფოტოებს უპრობლემოდ ვიღებ ნებისმიერ მსურველთან, ასევე ვაძლევ ავტოგრაფებსაც.

## თამუნა ამონაშვილი:



– მე თბილი ურთიერთობა მაქვს ჩემს თაყვანისმცემლებთან [illegible] ველდღე თაიგულს აჭერინებდა ჩემს სურათს, ისე რომ ყვავილი დაჭკნობას ვერასწრებდა. ნამდვილად არ ვიცი ამას ვინ აკეთებდა. ერთმა სახლის წინ დიდი გულის ფორმის ნათურებით მოჭედილი წითელი მილი მორთო და ღამ-ღამობით ანთებდა მას. გულში ეწერა – თამუნა მიყვარხარ. აი ასეთ სიურპრიზებს მიკეთებენ ფანები.

## კახა ცისკარიძე:



– მე ჩემი ფანებიდან გამოვყოფ ნინო ბარბაქაძეს. მან ხატი მაჩუქა და არ არსებობს კონცერტი წინა რიგებში რომ არ დავინახო. ყოველთვის მაქსიმალურად მეკონტაქტება. ბევრ მათგანს არც ვიცნობ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გამაღიზიანებელია მე მაინც არ ვუხეშობ. პრინციპში წერილები კარგა ხანია არც მიმილია. რაც შეეხება საჩუქრებს მათ ერთად ვინახავ.

## მარიკა ქაცარავა:



– მე უფრო მეტად უცნობი თაყვანისმცემლები მყავს. ისინი ჩემს კარებთან დებენ სხვადასხვა სახის საჩუქრებს – სუნამოებს, ყვავილებს, მობილურ ტელეფონებს. ერთხელ ყუთში ჩადებული მობილური ფანჯარაში შემომიგდეს. სახლში, რომ მივედი იატაკზე დაგდებული ვიპოვე. ტელეფონი გატეხვას გადაურჩა. არჩევენ ინკოგნიტოდ დარჩენას, რადგანაც იციან, რომ თუ მათი პიროვნება გამჟღავნდება მერე ცუდად ექნებათ საქმე. ვისაც ვიცნობ მათთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ვინც მე მცემს პატივს მეც იმას ვცემ პატივს.

ავტოგრაფებსა და ფოტოების გადაღებაზე უარი არასდროს მითქვამს.

## დათო ხუჯაძე:



– მე ვერცერთ ფანს ვერ გამოვყოფ, მათი რიცხვი იმდენია, რომ ფიზიკურად ვერ ვიმახსოვრებ რომელი რომელია. ხშირად რეკავენ რისთვისაც ტელეფონის ნომრის გამოცვლა მიხდება. კარებთან მხვდება საჩუქრები, რომლებითაც ჩემი დისშვილი კარგად ერთობა. არიან მომაბეზრებელი თაყვანისმცემლებიც, რომლებსაც ოსტატურად ვიშორებ.

## ზურა მანჯავიძე:



– მე ძალიან მიხარია თუკი ჩემთან მოვა თაყვანისმცემელი და სურათის გადაღებას ან ავტოგრაფს მთხოვს. დისკომფორტი ჯერჯერობით მათგან არ შემქმნია, ვცდილობ თბილად მოვექცე ყოველ მათგანს. ვთვლი, რომ ფანებთან თბილი დამოკიდებულებაა საჭირო, რადგანაც რომ არა ისინი აზრი არ ექნებოდა ჩვენს პოპულარობას. ამიტომაც, გულს არასდროს ვტკენ ჩემთან მოსულს. მე იცით რა მაღიზიანებს? როდესაც მომღერალი ამბობს ფანები მაღიზიანებენო, აი, თვითონ ეს მომენტი მაღიზიანებს.

## თამუნა გომართელი:



– ჩემი თაყვანისმცემლები არასოდეს მაწუხებენ, მე მათთან ურთიერთობისას თავს ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ. ერთხელ ქობულეთელმა თაყვანისმცემელმა დამირეკა მობილურზე, ტელეფონი ქეთა თოფურიამ აიღო და ისე გამოლანძღა საწყალი ბიჭი, რომ იმის მერე აღარც დაურეკავს. ქეთას რომ ვკითხე რატომ გააკეთე-თქო, ასე მითხრა – რაღადროს შენი ფანებიაო. რამდენიმე დღის წინ "აიეტის" ოფისში რომ მივედი გადაცემის მოსამზადებლად, დაცვამ ციხიდან გამოგზავნილი რვაგვერდიანი წერილი დამახვედრა. რომ წავიკითხე, სულ ცხარე ცრემლებით ვიტირე.

# ქეთასთან ფანების შეხვედრა შედგა



ქეთა და მისი პრეს-ატაშე თამუნა გომართელი



გაზეთი „ფან-კლუბი" ერთი თვის განმავლობაში გპირდებოდათ ქეთა თოფურიასთან შეხვედრას. იყო გაუთავებელი ზარები, უამრავი შეკითხვა და ინტერესით აღვსილი თვალები - როდის მოვიდეთ, რა პრინციპით მოხდება შერჩევა და ა.შ. შერჩევის პრინციპი ტესტირებით გადავწყვიტეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსურველებს (ოთხი ტალონის წარდგენით) უნდა შეევსოთ ჩვენს მიერ შედგენილი ე.წ. ანკეტები, რომელთა მიხედვითაც ჩვენ წარმოდგენა შეგვექმნებოდა ამა თუ იმ ფანზე. ისინი წერდნენ, თუ რატომ სურდათ ქეთასთან შეხვედრა. მაგალითისთვის უნდა დაესვათ სამი შეკითხვაც. მოკლედ, უამრავ ფანებს შორის შეირჩა მხოლოდ ათი საუკეთესო. და ჰა, დადგა სანატრელი დღეც. ფანებმა ნახევარი საათით ადრე დაიწყეს მოსვლა. დერეფანში ატყდა ფუსფუსი და მითქმა-მოთქმა. ქეთა მის პრეს-ატაშესთან – თამუნა გომართელთან ერთად მოვიდა. ერთმა ფანმა გრძელი სისხლისფერი ვარდი მიართვა. მომღერალს სპეციალურად მათთვის განკუთვნილ მაგიდასთან დასხდნენ და ფანების შეკითხვებს დაელოდნენ. სულ ცოტაც და კითხვების კორიანტელი წამოვიდა. ფანებს შორის აქტიურობდნენ: ლამარა მელიქიშვილი, ნინო ეპიტაშვილი და ნინო ყაველაშვილი...

შეკითხვები მრავალფეროვანი იყო, შეეხებოდა ყველა სფეროს – შემოქმედებიდან დაწყებული პირადი ცხოვრებით დამთავრებული. 1) როგორი ბავშვი იყავი? 2) რისი გეშინია? 3) რაზე ოცნებობ? 4) რას აკეთებ თავისუფალ დროს? 5) შენი საყვარელი კერძი 6) რა ცხოველი გიყვარს? 7) შენი გატაცება? 8) რა გაკავშირებს ზურა ხაჩიძესთან? 9) სკოლის პერიოდს როგორ გაიხსენებდი? 10) შენი საყვარელი სპორტსმენი. 11) ხშირად რა ფრაზას იმეორებ? 12) რას ვერ აპატიებდი ადამიანს? 13) შენი მომავალი პროფესია? 14) შეყვარებული თუ ხარ? 15) რას იტყოდი ფონოგრამით სიმღერაზე? 16) იფიცებ? 17) დედის სახელი. 18) სიბნელის თუ გეშინია? 19) კლიპის გადაღებისას მომხდარი კურიოზი? 20) საყვარელი გადაცემა... აი, ძირითადად ამ სტილის შეკითხვები დაისვა შეხვედრაზე. ქეთა ყველა მათგანს დიდი სიამოვნებით პასუხობდა. გარდა იქ დამსწრე ფანებისა, ქეთა ტელეფონითაც აძლევდა პასუხებს იმათ, ვინც ვერ მოხვდა არჩეულ ათეულში. ასე რომ, ბოლომდე იკმაყოფილებდნენ ცნობისმოყვარეობას. შეხვედრის დასასრულს, ქეთამ თავისი პატარა კალენდრები დაურიგა ფანებს, რომლებიც ავტოგრაფებით დაამშვენა. უცებ გაჩნდა ფოტოაპარატები და წავიდა ფოტოების გადაღება. ქეთაც უპრობლემოდ პოზირებდა. შეხვედრის ადგილი კმაყოფილი სახეებით დატოვეს ბავშვებმა: – ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება ეს დღე, ძალიან ბედნიერები ვართო.



ქეთა ესაუბრება ფანებს ტელეფონით



აი, ასე ჩაიარა „ფან-კლუბის" პირველ სტუმართან შეხვედრამ. ჩვენი შემდეგი სტუმრები იქნებიან „ქუჩის ბიჭები", რომლებსაც შეხვდებით კლუბ „სონეტში". ამიერიდან თქვენ ყოველ ორ კვირაში შეგეძლებათ მომღერლებთან შეხვედრა. აბა, იაქტიურეთ და იკითხეთ გაზეთი „ფან კლუბი".

## ჭორულა-ჭორულა ამბები

### ეროტიული ბიბლიოთეკა



მომღერალ თამთა ჭელიძესა და მის ქმარს ჯაბა კილაძეს საკმაოდ რომანტიკული და ინტიმური გარემო აქვთ საძინებელში. წყვილმა საძინებლის ჭერზე მიამაგრა ფოსფორის შემცველი ვარსკვლავები და მთვარე. როცა ღამდება და ოთახში ბნელდება მნათობები ანათებენ და ღამის ინტიმს ქმნიან. თამთასა და ჯაბას საწოლიც მუქი ლურჯი ფერისაა. ასე რომ, ახალბედა ცოლ-ქმარს საკმაოდ რომანტიკულ გარემოში სძინავს.



ცისანა თავის ქმარს მანამ შეუმოწმებია როგორი მზარეული იყო, ვიდრე ცოლად მოიყვანდა. სოსო იშველიებს რუსულ გამოთქმას „კაცების გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადისო", ამდენად კარგმა კულინარმა ცისანამ „გამოცდას" გაუძლო და მშვენიერ დიასახლისთა სიაში აღმოჩნდა.



მაკა ასათიანის ხუთვარსკვლავიან „ფართიზე" სასტუმრო „მერიოტში" უამრავ სტუმართან ერთად ეკა ხოფერიას ქმარი, ბატონი გიორგიც იმყოფებოდა. „ღამის კურიერში" ჩართვების შემდეგ ეკა და გიორგი მაკას კომპანიაში აღმოჩნდნენ. ტრიო საკმაოდ დიდხანს საუბრობდა. ეკას უკვე დაღლა ეტყობოდა და მაკას საზეიმო კოსტიუმს მალიმალ ისწორებდა. იქვე სიუჟეტს ამზადებდა „რუსთავი 2"-ის კორესპონდენტი მაკა ფანქველაშვილი, რომელმაც ლამის ფეხი მოიტეხა.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



როგორც გაირკვა, შოუბიზნესში ყველაზე ლამაზი საჯდომი ქალბატონ ჯენიფერ ლოპესს აქვს, ყველაზე ლამაზი პრესი კი ჯენეტ ჯექსონს, საუკეთესო ჰოლივუდური ღიმილის მეპატრონედ ჯულია რობერტსი დასახელდა, ყველაზე ლამაზი ტუჩები ანჯელინა ჯოლის აღმოაჩნდა, მკერდი კი პამელა ანდერსონს. ასე რომ ამ ვარსკვლავებს შეუძლიათ სხეულის ამ ნაწილებით იამაყონ, რადგან ისინი მთელმა მსოფლიომ აღიარა.



კლიპისათვის „Dirty“ პოპ შემსრულებელმა ქრისტინა აგილერამ ათი ფრიად ავანგარდული კოსტიუმი შეაკერინა. ეს იყო ტყავის ამოჭრილი შარვლები და ტოპები, რომელთაგან ზოგი ჭრელი იყო ზოგი კი სადა. კლიპში მან მხოლოდ სამი მოდელი გამოიყენა დანარჩენი კი საკონცერტო ნომრებისათვის შემოინახა. ამიტომაც, ახლა აგილერას სცენაზეც და კლიპშიც ერთი ტიპის სამოსი ეცმევა.



ცნობილმა მომღერალმა Pink-მა სიმღერა „ოჯახური პორტრეტი“ („Family Portrait“) თავად დაწერა და მასზე ლამაზი კლიპიც გადაიღო. რეჟისორმა ვიდეო რგოლში გადასაღებად პატარა გოგონა მიიწვია, რომელიც ძალიან გავდა ფინქს, ზუსტად მისნაირი ტანსაცმელი ეცვა და მომღერლის მსგავსად საკმაოდ ჭორფლიანი იყო. „ამ ბავშვს ძალიან დავუმეგობრდი და მისი სახით პატარა მეგობარი შევიძინე“ – თქვა ფინქმა.

# ქრისტინა აგილერა და მისი ფანები



1999 წელს – ანუ მაშინ, როცა ქრისტინა აგილერამ დებიუტ ალბომი გამოუშვა მან მილიონობით თაყვანისმცემელი შეიძინა, ამას მოჰყა რამდენიმე პოპულარული დუეტი, რომელიც ქრისტინამ რიკი მარტინთან და „Lady Marmalade“-ის გოგონებთან ერთად ჩაწერა. ახლა კი მან მორიგი ალბომი „გახდილი“ გამოუშვა და მისი ფანების რაოდენობაც ერთიორად გაიზარდა.

სხვადასხვა ინტერვიუებში და სატელევიზიო შოუებში ქრისტინა აცხადებს, რომ თავისი ფანები ძალიან უყვარს და მათ დიდ პატივს სცემს, მაგრამ მისი საქციელიდან გამომდინარე ჩვენ სულ სხვა აზრი გვექმნება და ვხვდებით, რომ ეს ცარიელი სიტყვებია.

ამ ყოველივეს მიუხედავად, რატომღაც ფანებს ქრისტინა მაინც უზომოდ უყვართ. ამერიკულ გადაცემა „Fanatic“-ის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ახლა ამერიკელ თინეიჯერთა საყვარელი მომღერალი სწორედ ქრისტინაა.

სხვათა შორის ეს გადაცემა თვეში ორჯერ ცნობილ შემსრულებლებს თავის ორ ყველაზე აქტიურ ფანს ახვედრებს. ამ შეხვედრისათვის თაყვანისმცემლები წინასწარ ემზადებიან: არჩევენ სამოსს, ვარცხნილობას, ადგენენ კითხვარს და სწორედ ამ კითხვებს უსვამენ თავიანთ კუმირს შეხვედრისას. გასულ კვირას ორ ფანს სწორედ აგილერა შეხვდა და იგი მართლაც განცვიფრებული დარჩა, რადგან თაყვანისმცემლები მის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ. „მე მგონი ჩემს შესახებ მათ უფრო მეტი იციან ვიდრე მე თვითონ“ – ღიმილით აღნიშნა ქრისტინამ.

აგილერამ ფანები ასეთი ერთგულებისა და სიყვარულისათვის დაასაჩუქრა და მათ მისი ახალი დისკი გადასცა.

„როცა პირველი ალბომი გამოვუშვი იგი ძირითადად თინეიჯერებმა აიტაცეს და მას ბავშვები უსმენდნენ. ახლა მე გავიზარდე, უფრო სერიოზულ მუსიკას ვქმნი, იმედი მაქვს, რომ ჩემთან ერთად ჩემი თაყვანისმცემლებიც გაიზარდნენ და მათ მოსწონთ ჩემი სიმღერები. ხშირად თინეიჯერების მშობლები მსაყვედურობენ, ამბობენ, რომ ჩემი ახალი სტილით მათ შვილებს ცუდ მაგალითს ვაძლევ. ასეთი განცხადებები ძალიან მალიზიანებს. მე არც აღმზრდელი ვარ და არც მასწავლებელი, ვარ მომღერალი, რომელიც ქმნის შოუს და ართობს ხალხს“ ამბობს ქრისტინა.



„როცა კარიერას ვიწყებდი ძალიან კარგად ვიცოდი რაზეც მივდიოდი, ვიცოდი, რომ გამუდმებით ყურადღების ცენტრში უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ სიმღერა ჩემი ცხოვრების ნაწილია და ამის გარეშე ვერ ვიცოცხლებ. პატარაობაში, როცა უბნის მასშტაბით ვაწყობდი კონცერტებს, მეზობლებში პოპულარობით ვსარგებლობდი და ბევრ ბიჭსაც ვუყვარდი, ეს მომენტი ძალიან მსიამოვნებდა და ვოცნებობდი, რომ მილიონობით ადამიანის კუმირი ვყოფილიყავი. დღეს უკვე ყველაფერი სხვაგვარადაა, ვხვდები, რომ ძალიან ძნელია იყო ვინმეს იდეალი. ვიცი, ყოველდღიურად ჩემს ცხოვრებას უამრავი ადამიანი ადევნებს თვალყურს და ამიტომ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ხანდახან ძალიან მინდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანივით ვიცხოვრო, მაგრამ ეს უკვე აღარ გამომდის.“



„მყავს როგორც აბეზარი, ისე თბილი და საყვარელი ფანები. ჩემს აქტიურ ფანებთან ხშირი კონტაქტი არ მაქვს, მაგრამ იციან, რომ მე მათ დიდ პატივს ვცემ და მიხარია, რომ ისინი არსებობენ.

რაც შეეხება აბეზარ ფანებს – მათ ხშირად ვიშორებ თავიდან და ზოგჯერ კიდევაც ვეუზრდელები ხოლმე. ხანდახან მგონია, რომ მათ ჩემს პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა უფრო აინტერესებთ ვიდრე ჩემი შემოქმედება. ასეთ ადამიანებს მე პატივს არ ვცემ.

რაც შეეხება საჩუქრებს, შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი მსმენელები ამ მხრივ ძალიან მათამამებენ. მჩუქნიან ლამაზ აქსესუარებს, ნახატებს, მიგზავნიან ჩემზე დაწერილ ლექსებს, ასევე ჩემთან ერთად გადაღებულ სურათებს, რომლებსაც სპეციალურ ალბომებში ვათავსებ და ვინახავ“.

ამბობენ, რომ ჩემს ფანებთან დამოკიდებულებაში ცივი ვარ, ეს სულაც არ არის ასე. უბრალოდ მე ასეთი ბუნების ვარ და ზოგჯერ გრძნობების გამოვლენა მიჭირს.

რაც შეეხება ფანებთან დაკავშირებულ კურიოზებს, ვერ ვიხსენებ მათ, შესაძლოა საინტერესო არც არაფერი ყოფილა.“

მოამზადა
თამთა მჭედლიშვილმა

# ანეკდოტები

აუქციონზე:
– 10000 – ერთი, 10000 – ორი, 10000 – სამი... გაყიდულია! იყიდა ქალბატონმა, რომელიც მესამე რიგში ზის და ქმარს პირზე ხელს აფარებს.

* * *

ორი მამაკაცი საუბრობს:
– ავად გახდით?
– არა, საიდან მოიტანეთ?
– გუშინ დაგინახეთ, აფთიაქიდან გამოდიოდით.
– საინტერესოა, რას იფიქრებდით, სასაფლაოდან გამოსული რომ დაგენახეთ?

* * *

ენაბლუ ზოომაღაზიაში შევიდა და გამყიდველს ეკითხება;
– მმიითხხხარრით, გაყაავთ მმოოლლლაპპარაკე თუთუთუთიყყყუში?
– და უხსნის გამყიდველს, თუ როგორი უნდა. გამყიდველმა ველარ გაუძლო და ეუბნება:
– ძმაო, „ლუბოი" წაიყვანე, თორემ ყველა თუთიყუშს გამიფუჭებ!

* * *

ორი ხანში შესული გაუთხოვარი ქალბატონი სახლთან ინტერესით უთვალთვალებს დედალს, რომელიც მამალს გაურბის. მამალი ვერ ეწევა. უცებ მანქანა გამოვარდა და დედალი გაიტანა. ერთმა ქალბატონმა პათეტიკურად შესძახა:
– სიკვდილი ამჯობინა!

* * *

განცხადება გაზეთში;
„დაიკარგა ბულტერიერი. მპოვნელი ღმერთმა აცხონოს!"

* * *

ქუჩაში ორი მამაკაცი ჩხუბობს. ერთი ეუბნება მეორეს:
– ვირი ხარ!
– ვირისგან მესმის!
– ნათესავები ყოფილხართ და რა გაჩხუბებთ?! – იკითხა გამვლელმა.

* * *

– გადამეტებულ ზრდილობასაც არ მივყავართ სიკეთემდე. გუშინ, ავტობუსის მძღოლმა მოხუც ქალს საკუთარი ადგილი დაუთმო.

* * *

კარზე ზარია: – დილა მშვიდობისა, ქალბატონო! პიანინოს ამწყობი ვარ.
– მე არ გამომიძახიხართ.
– თქვენ – არა! თქვენმა მეზობლებმა მთხოვეს...

* * *

კარის მასხარამ დაინახა ოქროსთევზებიან აკვარიუმთან წაკუზული მეფე და პანღური ამოარტყა. მეფე თავით ჩავარდა აკვარიუმში. წყლიდან ამოსულმა გაბრაზებულმა მეფემ მასხარას უყვირა:
– ამაზე თავხედურ თავის მართლებას თუ არ მოიფიქრებ, ახლავე ჩამოგახრჩობ!
– მაპატიეთ, მეფეო, დედოფალი მეგონეთ!

* * *

ფრენის დროს თვითმფრინავი გადატრიალდა ბორბლებით ზევით. თავზე მდგარი სტიუარდესა გამოდის სალონში და მგზავრებს ამშვიდებს:
– ნუ ღელავთ, პილოტი ცხვირში წვეთებს ისხამს.

* * *

მატარებელში ლაქლაქით ერთობიან. ერთი კითხულობს:
– აბა, თუ იცით, რა განსხვავებაა პოლიციელსა და ვირს შორის?
კართან პოლიციელი მდგარა, გაიგო, შემოიხედა და კითხულობს:
– აბა, თქვი, რა განსხვავებაა.
– აა... არაფერი!

* * *

მოსამართლემ ქურდობაში ეჭვმიტანილი გაამართლა. ადვოკატი კლიენტს მიმართავს:
– აბა, დაცვით კმაყოფილი ხართ?
– საერთოდ კი, მაგრამ რომ მცოდნოდა უდანაშაულო ვიყავი, ადვოკატს არ ავიყვანდი.

# სკანვორდი




თავის ქალის უკანა ნაწილი
გერდას ძმა
... ვარ-დანაშვილი
„Spice girl"-ის წევრი
ცხვრის ჯოგი
სპეციალურად შენახული მიცვალებული (ეგვიპტე)
ერთგვარი ხაჭაპური
ძედუნის სახელი
დიდი ანტენა
გასათოხნი იარაღი
ზღვის ფრინველი
ძველი ქართული სპორტული თამაში
დედლების წინამძღოლი
იოკო ...
ენერგიის საზომი ერთეული
ბოსტნეულის მავნე მწერი
ჟურნალი
ქართული კინო
მზის სისტემის პლანეტა
ერთგვარი ქარი
წელიწადის ცხელი დრო
ვაჟი
„პირველი რაინდი"-პერსონაჟი (მეფე)
დედის და
დროის დიდი შუალედი
ნიგვზიანი საჭმელი
მდინარის წყნარი დინება
ერთგვარი ჭურჭელი
აზელილი კარტოფილი
სიროფში მოხარშული ხილი
საგანგებო დავალება
მაღალყელიანი ფეხსაცმელი
ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
გიორგი სააკაძის ვაჟი
ტელევიზორის მნათი ნაწილი
რუსეთის პარლამენტი
წიგნის ცალკეული გამოცემა
ერთგვარი საფულე
ტყის ცხოველი
მუს. ნოტი
შენობა თავისუფლების მოედანზე
რუსული ჯგუფი
ერთ-ერთი მანიჟაშვილი
სპირინგი, ანე
ზურა ხარიძის საყვარელი პოეტი
ძველი უცხოური ჯგუფი
„გეყვარება ერთმანეთი" - შემ.








ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაში კამათლებით

ბერძნული ანბანის ასო

ბრაზილიელი ფეხბურთელი

განუკურნებელი სენი

მტაცებელი ცხოველი

ხერხემლის ძვალი

ჯარი, არმია

ენაბრგვილი

ცარცით სანერი

ერთგვარი კახური გამოთქმა

სასიარულო ორგანო

„პინიაუხის“ პერსონაჟი

„რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი





შაკირას ერთ-ერთი სიმღერა

ავტომობილების ფირმა

ფანდი

ერთგვარი შოკოლადი

ბოშა ქალი „პარიზის ღვთისმშობ. ტაძრიდან“

ერთგვარი სარეცხი საშუალება

ქართული დასარტყამი საკრავი

სააფთიაქო ქსელი თბილისში

„ღამე ბადის“ – შემსრ.

ხორთუმიანი ცხოველი

მეხსიერების დაკარგვა

ლიპტონის ...

ცხენის ნაშიერი

„მამაცი გულის“ რეჟისორი

მჟავე ხილი

ნაბიჯი ცეკვაში

თევზის ძვალი

ბრძოლაში დასაცავი საშუალება

თუთიყუშის „სახლი“

ბორცვი, მთა

ძვ.ბერძენი მათემატიკოსი

ბედი

„ალ-სიანს-ის“ წევრი

ფიდი მეენარე

ის, რაც ჯოჯოხეთსაც ანათებს

... ბროსნანი

ფრინველთა მეფე





ნაცია

შოკოლადის ხე

... რამიშვილი

„რაც გვაქვს“–შემსრულებ.

„დიდოსტატის მარჯვენა“–პერს.

ქართული ხალხური ზღაპარი

უსმენო

პატარა თავი

ღვინის ჭურჭელი

... ტაბიძე

უცხოელი მოდელი

განვლილი ცხოვრება





მდინარე რუსეთში

ქათამაძის ერთ-ერთი სიმღერა

გაცივება, გრიპი

ბანქოს ქალბატონი

შინაგან საქმეთა მინისტრი საქართვ.

რიჩარდ გირის ყოფილი მეუღლე

ის, რაც ლორმა სთხოვა რწყილს

ფართობის საზომი ერთეული

... მაღლაკელიძე

# ანეკდოტები

– ბატონო მოსამართლევ! ადვოკატის სიტყვის შემდეგ დარწმუნებული აღარა ვარ, მანქანა მყავდა თუ არა...

* * *

**მოსამართლე ეკითხება ბრალდებულს:**

**– განსასჯელო, მაღაზიის გაძარცვისას, მოხუც, ავადმყოფ დედაზე თუ ფიქრობდით?**

**– ვფიქრობდი, ბატონო მოსამართლევ, მაგრამ დედაჩემის სარგო იქ ვერაფერი ვნახე.**

* * *

პოლიციელი ქალბატონს ეუბნება:

– თქვენმა შვილმა მოტოციკლეტი მოიპარა.

– ეგ საცოდავი, მთელი სიცოცხლე მანქანაზე ოცნებობდა!

* * *

**– ბრალდებულო, რატომ უარყოფთ დანაშაულს? პოლიციაში ხომ ყველაფერი აღიარეთ?**

**– დიახ, ბატონო მოსამართლევ, მაგრამ ადვოკატმა დამარწმუნა, რომ მე უდანაშაულო ვარ.**

* * *

– ბატონო ადვოკატო! მოკლედ ილაპარაკეთ! თქვენმა კლიენტმა უკვე აღიარა დანაშაული.

– ბატონო მოსამართლევ! ნუთუ იმისი უფრო გჯერათ, ვიდრე ჩემი?

* * *

**ინსპექტორი მანქანას აჩერებს.**

**– მგონი, თქვენ ნასვამი ხართ. აბა, ჩაბერეთ. ოჰ, არ მუშაობს, – გამოართვა და თვითონ ჩაბერა.**

**– არა, კაცო, მუშაობს.**

* * *

უადგილო ადგილას დაფეხვილი „პეჟო" დგას. მიუახლოვდა პოლიციელი და მძღოლს ეკითხება:

– ეს თქვენი მანქანაა?

– ჩემია.

– ასი დოლარი.

– ორმოცდაათიც დაუმატეთ და მანქანა თქვენია, – ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ეუბნება მძღოლი.

* * *

**მილიციაში ტელეფონის ზარია. ქალის ხმა:**

**– მილიცია, ჩემთან ორი უცნობი შემოვარდა! სასწრაფოდ მოდით და ერთი წაიყვანეთ!**



* * *

განგსტერებმა ბანკი გაძარცვეს. ერთმა ფულის დათვლა დაიწყო.

– დაანებე თავი, – ეუბნება მეორე.

– რატომ?

– ტყუილად დროს რატომ კარგავ, ხვალ გაზეთებში გაიგებ ზუსტ ციფრს.

* * *

**– აგერ, უკვე ოცი წელია, რაც ჩვენ ამ დარბაზში ვხვდებით, – ეუბნება მოსამართლე ბრალდებულს, – ამ ხნის მანძილზე შეგეძლოთ გამოსწორებულიყავით.**

**– თქვენ კი, ბატონო მოსამართლევ, შეგეძლოთ იუსტიციის მინისტრი გამხდარიყავით.**

# სკანვორდი



# სკანვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა








„რონდოს" წევრი
მდინარე ჩინეთში
ნათია ნებიერიძე – ჯგუფი
აბრეშუმის ჭიის საყვარელი მცენარე
ქალაქი საქართველოში
თინეიჯერი მომღერალი
ერთგვარი ქაში
მიმართვა ფრანგი მეფეებისადმი
ქართველი ჩოგბურთელი
კეთილშობილი ლითონი
ნარნარიანი დაფა
ფეხსაცმლის მაღაზია თბილისში
პატარა ნაკადული
მოსკოვი – ქვეყანა
თაფლის მოყვარული ცხოველი
უცხოელი დიზაინერი
„ვერნისაჟის" ხელმძღვანელი
შინაური ფრინველი
„განდაგანას" მომღერალი
ავტორგოლა
„ტიტანიკის" საუნდტრეკის შემსრულებ.
ოსური ცეკვა
შეკახილი ცეკვაში
ალ.ჭავჭავაძის ქალიშვ.
პარკოსანი მცენარე
კრემიანი ნამცხვარი
პატარა არხივი
ტბა სასომხეთში
... ჯაკი
სამი მომღერალი
„რას ეძიდება წყალწაღებული"
ერთგვარი ხალიჩა
ურთიერთობა
თოფის სახეობა
ერთგვარი მატერია

გაზეთი "ფან-კლუბი" საშუალებას გაძლევთ პირისპირ შეხვდეთ თქვენს საყვარელ ჯგუფ –

## "ქუჩის ბიჭებს".

ამისათვის საჭიროა შეაგროვოთ ორ-ორი ბარათი, რომელსაც ჩვენი გაზეთი პერიოდულად გამოაქვეყნებს და ის, ვინც შეაგროვებს ციფრებს 1, 2 მიიღებს მონაწილეობას გათამაშებაში, რომლის პირობებიც გამოქვეყნდება გაზეთ "ფან-კლუბის" მე-6 ნომერში. გამარჯვებული დასაჩუქრდება ბილეთით, რომლის საშუალებითაც იგი პირისპირ შეხვდება "ქუჩის ბიჭებს".

**01** "ფან-კლუბი" №5, 2003

გაზეთ „ფან-კლუბის" მიერ ჩატარებული ფოტოკონკურსის „აბა გამოიცანი"-ს შედეგად გამოვლინდა გამარჯვებულები: ნინო დალაქიშვილი, გიორგი ხუციშვილი, ნინო ყაველაშვილი, გიორგი ლაგვილავა, დათო აკობაშვილი, ნინო მაისურაძე, ემიკო ჩალაგაშვილი, ფიქრია ქავთარაძე, ლამარა მელიქიშვილი და გიორგი გაჩეჩილაძე. ყველა გამარჯვებულს გაზეთ „ფან-კლუბისაგან" საჩუქრად გადაეცემათ აუდიო-კასეტები, მათ კი ვისაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ მონაწილეობა ამ კონკურსში შევახსენებთ, რომ ფოტოკონკურსის ვარიანტების შემთხვევაში მათ შესაბამისი ქულები ეწერებათ. ოთხი ფოტოს გამოცნობა – ოთხი ქულა. სამის – სამი და ა.შ. ისინი კი ვინც თვის ბოლოს ყველაზე მეტ ქულას დააგროვებენ დასაჩუქრდებიან პრიზებით.

# აბა, გამოიცანი






ისინი, ვინც გამოიცნობთ ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ორშაბათს, 15 საათზე. ტელ: 98-95-79